

საქართველოს სახალხო დამცველის (ომბუდსმენის) მხარდამჭერი განცხადება

საქართველოს პრემიერ-მინისტრისა და საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის საყურადღებოდ

ადამიანის უფლებათა ეროვნული ინსტიტუტების ევროპული ქსელი (ENNHRI), თანასწორობის ორგანოების ევროპული ქსელი (Equinet), ადამიანის უფლებათა ეროვნული ინსტიტუტების გლობალური ალიანსი (GANHRI) და ომბუდსმენის საერთაშორისო ინსტიტუტი (IOI) კიდევ ერთხელ ვადასტურებთ მხარდაჭერას საქართველოს სახალხო დამცველის (ომბუდსმენი) საქმიანობის მიმართ, რომლის მიზანია ადამიანის უფლებების და თანასწორობის ხელშეწყობა და დაცვა საქართველოში.

გამოვთქვამთ სერიოზულ შეშფოთებას იმასთან დაკავშირებით, რომ საქართველოს სახალხო დამცველის აპარატი და მისი ხელმძღვანელი პირები, ასევე ექსპერტები რომლებიც ინსტიტუტთან თანამშრომლობენ, ცნობილი პოლიტიკოსების სიტყვიერი თავდასხმებისა და მუქარის სამიზნედ იქცნენ მათი ბოლოდროინდელი უფლებადაცვითი საქმიანობის გამო. [მედიისა](#) და [სამოქალაქო ორგანიზაციების](#) მიერ გავრცელებულ განცხადებებში ნათლად ჩანს, რომ პოლიტიკოსების მიერ გაკეთებული განცხადებები შეიცავდა ინსტიტუტის დისკრედიტაციის მცდელობას, ექსპერტების მიმართ სამართლებრივი პასუხისმგებლობის დაწყების მუქარას, თანამშრომლების მიმართ შეურაცხმყოფელ შენიშვნებს და კითხვის ნიშნებს ინსტიტუტის მანდატთან და უფლებამოსილებასთან დაკავშირებით.

ეს უწყვეტი სიტყვიერი თავდასხმები, ასევე გაუმართლებელი ჩარევა თუ მუქარა ინსტიტუტის მიერ მისი ფართო მანდატის შესრულებასთან დაკავშირებით, ხელს უწყობს სახალხო დამცველის საქმიანობის გარემოს გაუარესებას, რათა მან ეფექტურად და დამოუკიდებლად შეძლოს მუშაობა. გარდა ამისა, პოლიტიკური ელიტის ამგვარმა საჯარო მუქარამ შეიძლება გამოიწვიოს შემდგომი თავდასხმები სხვა ჯგუფებისა თუ პირების მხრიდან, რამაც შესაძლოა შეშფოთების საფუძველი წარმოშვას ინსტიტუტის პერსონალისა თუ ხელმძღვანელობის უსაფრთხოებასთან დაკავშირებით. ეს ყველაფერი კი უარყოფით გავლენას ახდენს ინსტიტუტის საზოგადოებრივ იმიჯზე, სანდოობაზე და მთლიანი მოსახლეობის ნდობაზე მის მიმართ.

ამასთან დაკავშირებით, ჩვენ ვიზიარებთ [ევროპის საბჭოს ადამიანის უფლებათა კომისრის შეშფოთებას](#) საქართველოს სახალხო დამცველის მხარდასაჭერად. ეს უკანასკნელი მოვლენები არღვევს რეგიონულ და საერთაშორისო სტანდარტებს, რომლებიც ადასტურებენ, რომ ისეთი ინსტიტუტები, როგორცაა საქართველოს სახალხო დამცველი

და მათი თანამშრომლები, არ უნდა განიცდიდნენ ანგარიშსწორებასა და დაშინებას მათი მანდატის შესაბამისად განხორციელებული საქმიანობის გამო.

აღვნიშნავთ, რომ სახალხო დამცველი არის მრავალმანდატიანი ინსტიტუტი (ადამიანის უფლებათა ეროვნული ინსტიტუტი, ომბუდსმენის ინსტიტუტი, თანასწორობის ორგანო, პრევენციის ეროვნული მექანიზმი, გაეროს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენციით გათვალისწინებული დამოუკიდებელი მონიტორინგის მექანიზმი) და სიტყვიერი თავდასხმები, გაუმართლებელი ჩარევა თუ მუქარა ძირს უთხრის მის დამოუკიდებლობასა და მისი ყველა მანდატის ეფექტურად შესრულებას. საქართველოს მთავრობას და პარლამენტს, ისევე როგორც მსოფლიოს ყველა მთავრობასა და პარლამენტს, აქვთ ვალდებულება არასათანადო ჩარევისაგან დაიცვან ინსტიტუტები, რომლებიც მონიტორინგს უწევენ სახელმწიფოს. ეს ინსტიტუტები უნდა იყვნენ თავისუფალი საკუთარი მანდატის განხორციელებისას ადამიანის უფლებათა, თანასწორობის, კარგი მმართველობისა და კანონის უზენაესობის ხელშეწყობისა და დაცვისათვის.

მართლაც, ყველა პარლამენტსა და მთავრობას, მათ შორის საქართველოს მთავრობასა და პარლამენტს, აქვთ უმთავრესი მოვალეობა, დაიცვან კანონის უზენაესობა. საქართველოს სახალხო დამცველის საქმიანობაში ნებისმიერი არასათანადო გაუმართლებელი ხელს უშლის საქართველოში ხელისუფლების შტოებს შორის შეკავებისა და გაწონასწორების სისტემას და შესაბამისად, საფრთხეს უქმნის კანონის უზენაესობას.

შესაბამისი ეროვნული, რეგიონული და საერთაშორისო სტანდარტები

[საქართველოს კონსტიტუციაში](#) მითითებულია, რომ დაუშვებელია სახალხო დამცველის საქმიანობისთვის ხელის შეშლა (მუხლი 35). საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ [ორგანული კანონის](#) თანახმად, ინსტიტუტი უფლებამოსილია გამოავლინოს ადამიანის უფლებათა დარღვევის ფაქტები და რეკომენდაციებით მიმართოს შესაბამის ორგანოებსა და თანამდებობის პირებს.

გაეროს გენერალური ასამბლეის მიერ 1993 წელს მიღებული [პარიზის პრინციპები](#), ადამიანის უფლებათა ეროვნულ ინსტიტუტებს (NHRIs) ანიჭებს მანდატს, წარმოადგინონ მოსაზრებები „ადამიანის უფლებების ნებისმიერი დარღვევის შესახებ, როდესაც საჭიროდ ჩათვლიან“.

ადამიანის უფლებათა ეროვნული ინსტიტუტების გლობალური ალიანსის ([GANHRI](#)) აკრედიტაციის ქვეკომიტეტი ([SCA](#)) მიიჩნევს, რომ ადამიანის უფლებათა ეროვნული

ინსტიტუტების წევრები და თანამშრომლები დაცული უნდა იყვნენ როგორც სისხლის სამართლის, ისე სამოქალაქო პასუხისმგებლობისგან იმ ქმედებებისთვის, რომლებსაც ისინი ახორციელებენ მათი სამსახურებრივი უფლებამოსილების კეთილსინდისიერად შესრულების დროს. ამავე დროს, ქვეკომიტეტი მოუწოდებს მთავრობებს „გაითვალისწინონ ადამიანის უფლებათა ეროვნული ინსტიტუტების რჩევები და თხოვნები და გონივრულ ვადაში წარმოადგინონ ინფორმაცია რეკომენდაციების შესრულების მდგომარეობის შესახებ“.

გაეროს გენერალური ასამბლეა ასევე [ხაზგასმით აღნიშნავს](#), რომ ადამიანის უფლებათა ეროვნული ინსტიტუტები და მათი თანამშრომლები „არ უნდა აღმოჩნდნენ რაიმე ფორმით ანგარიშსწორების ან დაშინების, მათ შორის პოლიტიკური ზეწოლის, ფიზიკური დაშინების, შევიწროების ან გაუმართლებელი საბიუჯეტო შეზღუდვების წინაშე მათი მანდატების შესაბამისად განხორციელებული საქმიანობის გამო, მათ შორის ცალკეული საქმეების განხილვისას.“ ევროპის საბჭოს დონეზე, [მინისტრთა კომიტეტის ბოლო რეკომენდაციაში](#) (2021/1) ასევე საუბარია ადამიანის უფლებათა ეროვნული ინსტიტუტებისათვის უსაფრთხო და ხელსაყრელი გარემოს უზრუნველყოფისა და გაფართოების მნიშვნელობაზე. რეკომენდაცია მოუწოდებს სახელმწიფოებს „მიიღონ ყველა საჭირო ზომა ადამიანის უფლებათა ეროვნული ინსტიტუტების მხარდასაჭერად და მათ დასაცავად მუქარის, შევიწროების თუ დაშინების ნებისმიერი ფორმისგან, მათ შორის ფუნქციური იმუნიტეტის უზრუნველყოფის გზით“. რეკომენდაციაში ასევე დაკონკრეტებულია, რომ „სავარაუდო ანგარიშსწორებისა თუ დაშინების ნებისმიერი შემთხვევა ადამიანის უფლებათა ეროვნული ინსტიტუტების, მათი წევრებისა და პერსონალის წინააღმდეგ, ან იმ პირთა წინააღმდეგ, ვინც მათთან თანამშრომლობენ ან აპირებენ თანამშრომლობას, სასწრაფოდ და საფუძვლიანად უნდა იქნას გამოძიებული, ხოლო დამნაშავეები მართლმსაჯულების წინაშე უნდა წარდგნენ“.

უფრო მეტიც, ევროპის საბჭოს [ვენეციის პრინციპების](#) თანახმად, „სახელმწიფოებმა თავი უნდა შეიკავონ ნებისმიერი ქმედებისაგან, რომელიც მიზნად ისახავს ან იწვევს ომბუდსმენის ინსტიტუტისთვის ხელის შეშლას ან აბრკოლებს მის ეფექტურ ფუნქციონირებას, და სახელმწიფო ვალდებულია ეფექტურად დაიცვას ომბუდსმენის ინსტიტუტი ამგვარი საფრთხეებისგან“.

რასიზმისა და შეუწყნარებლობის წინააღმდეგ ევროპული კომისიის (ECRI) თანასწორობის ორგანოების შესახებ [ზოგადი პოლიტიკის რეკომენდაცია №2](#) ასევე განმარტავს, რომ „თანასწორობის ორგანოები უნდა ფუნქციონირებდნენ სახელმწიფოს, პოლიტიკური

პარტიების და სხვა აქტორების მხრიდან ჩარევების გარეშე“ და „ხელმძღვანელი პირები უნდა სარგებლობდნენ ფუნქციური იმუნიტეტით, დაცული უნდა იყვნენ მუქარისა და იძულებისგან“.

იმავენი რად უნდა იყოს დაცული სახალხო დამცველის, როგორც პრევენციის ეროვნული მექანიზმის (NPM), საქმიანობა. წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის ან სასჯელის წინააღმდეგ კონვენციის ფაკულტატიური ოქმი (OPCAT), რომელიც რატიფიცირებულია საქართველოს მიერ, ითვალისწინებს სახელმწიფოების ვალდებულებას „უზრუნველყონ პრევენციის ეროვნული მექანიზმების ფუნქციური დამოუკიდებლობა, ასევე მათი პერსონალის დამოუკიდებლობა“. საქართველოს სახალხო დამცველის როგორც პრევენციის ეროვნული მექანიზმის საქმიანობაში ნებისმიერი ჩარევა ეწინააღმდეგება სახელმწიფოს მიერ წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის ან სასჯელის წინააღმდეგ კონვენციის ფაკულტატიური ოქმით (OPCAT) აღებულ ვალდებულებას.

შემდგომი ნაბიჯები

საქართველოს სახალხო დამცველი არის ძალიან პატივსაცემი ინსტიტუტი ადამიანის უფლებათა ფართო საერთაშორისო საზოგადოებაში. 2018 წელს მას [ხელახლა მიენიჭა A-სტატუსი](#), რაც მიუთითებს მის სრულ შესაბამისობას გაეროს პარიზის პრინციპებთან. შეფასებისას, აკრედიტაციის ქვეკომიტეტმა შეაქო საქართველოს სახალხო დამცველის ძალისხმევა ადამიანის უფლებების ხელშეწყობისა და დაცვის მიმართულებით და აღნიშნა, რომ ინსტიტუტს რთულ პირობებში უწევს მუშაობა.

მოვუწოდებთ საქართველოს მთავრობას და პარლამენტს, დაიცვან საერთაშორისო პრინციპები, რომელთა ერთ-ერთ მოთხოვნასაც წარმოადგენს ისეთი ინსტიტუტების დაცვა, როგორც არის საქართველოს სახალხო დამცველი, დაშინების, მუქარის ან ნებისმიერი იმგვარი ქმედებისგან, რამაც შესაძლოა უარყოფითად იმოქმედოს მათ დამოუკიდებლობასა და ეფექტურობაზე.

ადამიანის უფლებათა ეროვნული ინსტიტუტების ევროპული ქსელი, თანასწორობის ორგანოების ევროპული ქსელი, ადამიანის უფლებათა ეროვნული ინსტიტუტების გლობალური ალიანსი და ომბუდსმენის საერთაშორისო ინსტიტუტი მზად არიან შესაბამისი ორგანოებისათვის დამატებითი რჩევების მისაცემად საქართველოს სახალხო დამცველისათვის ხელსაყრელი გარემოს უზრუნველყოფის ვალდებულებასთან დაკავშირებით.

ხელმძღვანელები:

ადამიანის უფლებათა ეროვნული ინსტიტუტების ევროპული ქსელი (**ENNHRI**) - აერთიანებს 47 წევრს ევროპის მასშტაბით და მიზნად ისახავს ადამიანის უფლებების ხელშეწყობისა და დაცვის გაძლიერებას რეგიონში.

თანასწორობის ორგანოების ევროპული ქსელი (**Equinet**) - აერთიანებს ევროპის თანასწორობის ეროვნულ ორგანოებს, რომლებსაც აქვთ სხვადასხვა საფუძვლით ჩადენილ დისკრიმინაციასთან ბრძოლის უფლებამოსილება.

ადამიანის უფლებათა ეროვნული ინსტიტუტების გლობალური ალიანსი (**GANHRI**) - აერთიანებს, ხელს უწყობს და აძლიერებს ადამიანის უფლებათა ეროვნულ ინსტიტუტებს, რათა მათ შეძლონ პარიზის პრინციპების შესაბამისად მუშაობა, და ხელმძღვანელობს ადამიანის უფლებების ხელშეწყობასა და დაცვას.

ომბუდსმენის საერთაშორისო ინსტიტუტი (**IOI**) - ერთადერთი გლობალური ორგანიზაცია, რომლის მიზანია 200-ზე მეტ ომბუდსმენის დამოუკიდებელ ინსტიტუტს შორის თანამშრომლობის ხელშეწყობა მთელ მსოფლიოში.

საქართველოს სახალხო დამცველი არის ადამიანის უფლებათა ეროვნული ინსტიტუტების ევროპული ქსელის, თანასწორობის ორგანოების ევროპული ქსელის, ადამიანის უფლებათა ეროვნული ინსტიტუტების გლობალური ალიანსის და ომბუდსმენის საერთაშორისო ინსტიტუტის დიდი ხნის და უაღრესად დაფასებული წევრი.